


საჩივრი

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლის

ფინანსური ანგარიშგება

შპს დრესარიუმი

მსს ფასს



სარჩევი

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	8
2.1. წარდგენის საფუძვლები	8
2.2. მომზადების საფუძვლები	8
2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	8
2.4. ამონაგების აღიარება	8
2.5. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	9
2.6. მოგების გადასახადი	9
2.7. ძირითადი საშუალებები	9
2.8. არამატერიალური აქტივები	10
2.9. აქტივების გაუფასურება	10
2.10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	11
2.11. კაპიტალი	11
2.12. უცხოური ვალუტა	11
3. ძირითადი საშუალებები	12
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
5. ფული და ფულის ექვივალენტები	13
6. სესხები	13
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
8. შემოსავალი რეალიზაციიდან	14
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14
10. მოგება/(ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	14

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე

შპს „დრესარიუმი“-ს ხელმძღვანელობას

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. +995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T +995 322 604 406

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ მოვამზადეთ შპს „დრესარიუმის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

გარიგება ჩავატარეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებების“ შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა დაგხმარებოდით ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში და მისი მომზადებისას გამოყენებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ.

რადგან ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ მოგვეთხოვება თქვენ მიერ ანგარიშგების მოსამზადებლად წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტის ან სისრულის გადამოწმება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ აუდიტორულ მოსაზრებას ან მიმოხილვის დასკვნას იმის თაობაზე, არის თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული.



პაატა შურღია

პარტნიორი

30 სექტემბერი 2021 წელი

DRESSARIUM
495248511

DRESSARIUM LLC, LIA PANGRANA 1, TBILISI, GEORGIA

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები		7,814	7,657	1,708
ძირითადი საშუალებები	3	356,651	426,640	107,816
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		364,465	434,297	109,524
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები		858,421	833,312	182,368
ავასნები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		15,489	95,268	138
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	11,762	15,635	14,620
ფული და ფულის ექვივალენტები	5	115,657	48,031	162,781
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები		1,001,329	992,246	359,907
მთლიანი აქტივები		1,365,794	1,426,543	469,431
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(308,217)	93,643	48,551
მთლიანი კაპიტალი		(308,217)	93,643	48,551
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	6	104,587	110,474	-
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		104,587	110,474	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	6	1,019,404	886,875	305,016
საგადასახადო ვალდებულება		13,572	19,655	10,561
გადასახდელი ხელფასები		9,944	3,575	3,872
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	525,699	312,005	101,431
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		805	316	-
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		1,569,424	1,222,426	420,880
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		1,365,794	1,426,543	469,431

დირექტორი: ლამა მიგინეიშვილი

ხელმოწერა



DRESSARIUM

405248511

შპს დრესარიუმი, ლისი პანორამა 6, თბილისი საქართველო
DRESSARIUM LLC, LISI PANORAMA 6, TBILISI, GEORGIA

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ღარი	შენიშვნა	წელი 2020	წელი 2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	1,268,956	1,461,096
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(758,252)	(670,211)
მთლიანი მოგება		510,704	790,885
გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები		(132,552)	(135,973)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(519,978)	(527,982)
მთლიანი საოპერაციო ხარჯები		(652,530)	(663,955)
საოპერაციო მოგება / ზარალი		(141,826)	126,930
ფინანსური შემოსავლები		48	643
ფინანსური ხარჯები		(97,466)	(53,671)
მოგება/(ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	10	(175,198)	(28,712)
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა (ზარალი)		12,643	4
მოგება დაბეგვრამდე		(401,799)	45,194
მოგების გადასახადის ხარჯი		(61)	(102)
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		(401,860)	45,092
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავლი წლის განმავლობაში		(401,860)	45,092

დირექტორი: ლაშა მიგინიშვილი

ხელმოწერა



DRESSARIUM

405248511


შპს დრესარიუმი, ლისი პანორამა 6, თბილისი საქართველო
DRESSARIUM LLC, LISI PANORAMA 6, TBILISI, GEORGIA

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ღარი	დაგროვილი მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	48,551	48,551
წლის მოგება/ზარალი	45,092	45,092
წლის მთლიანი შემოსავალი	45,092	45,092
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	93,643	93,643
წლის მოგება/ზარალი	(401,860)	(401,860)
წლის მთლიანი შემოსავალი	(401,860)	(401,860)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(308,217)	(308,217)

დირექტორი: ლაშა მიგინიშვილი

ხელმოწერა



DRESSARIUM

405248511


შპს ღრესარიუმი. ლისი პანორამა 6, თბილისი საქართველო
DRESSARIUM LLC, LISI PANORAMA 6, TBILISI, GEORGIA

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	მენიშვნები	წელი 2020	წელი 2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		(401,860)	45,092
შესწორებები შემდეგი მუხლებისათვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	3	87,954	60,128
ფინანსური ხარჯი		97,466	53,671
მოგების გადასახადის ხარჯი		61	102
ფინანსური შემოსავალი		(48)	(643)
მოგება / ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	11	175,198	28,712
საოპერაციო მოგება / (ზარალი) საბრუნავი კაპიტალის შეცვლამდე		(41,229)	187,062
სავაჭრო და სხვა მისაღები მოთხოვნების ცვლილება	4	3,873	(1,015)
ავანსებისა და სხვა მოკლევადიანი აქტივების ცვლილება		79,779	(95,130)
მარაგების ცვლილება		(25,109)	(650,944)
საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება		(6,083)	9,094
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების ცვლილება	7	183,776	216,669
გადასახდელი ხელფასების ცვლილება		6,369	(297)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ცვლილება		489	316
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		201,865	(334,245)
გადახდილი პროცენტები		(97,466)	(53,671)
მიღებული პროცენტები		48	643
გადახდილი მოგების გადასახადი		(61)	(102)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		104,386	(387,375)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
არამატერიალური აქტივების შეძენა		(1,700)	(7,154)
ძირითადი საშუალებების შეძენა	3	(16,421)	(377,748)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(18,121)	(384,902)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხი	6	1,182,466	1,363,253
გადახდილი სესხი		(1,197,621)	(697,765)
შემოსავალი საწესდებო კაპიტალის გაზრდიდან			
გადახდილი დივიდენდები			
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		(15,155)	665,488
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		71,110	(106,789)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		48,031	162,781
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულზე		(3,484)	(7,961)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		115,657	48,031

დირექტორი: ლაშა მიგინიშვილი

ხელმოწერა



DPRESSARIUM

ფინანსური ანგარიშგება
მის დრესარიუმში
2020 წლის 23 აპრილს

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს დრესარიუმი წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. კომპანია დაფუძნებულია 2018 წელს. მისი ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ტანსაცმლითა და აქსესუარებით სპეციალიზებულ მაღაზიებში. კომპანიის პარტნიორები და მათი შესაბამისი წილები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

პარტნიორი	2020	2019
	%	%
ლაშა მიგინეიშვილი, 01010007215	33.34	33.34
სალომე დიღია, 01026011477	33.33	33.33
ვახტანგ გოგოხია, 01027035278	33.33	33.33

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ვალუტაში - ლარში.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისათვის არის მისი პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც შეესაბამება მცირე და საშუალო ბიზნესის ფასს.

2.2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია.

2.4. ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება მის მიერ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით / სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

2.5. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. კომპანიის მიერ სესხი აღებულია როგორც ბანკისაგან, ასევე ფიზიკური პირებისაგან დოლარსა და ლარში. 2020 წელს მოხდა დამატებითი სესხების აღება, ასევე ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა. სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯები. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია მფლობელისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვით მოგება/ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაზღვრული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

2.6. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ახალი რეგულაციის მიხედვით, რომელიც 2017 წლიდანაა ძალაში, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდალ განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

2.7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს

სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში მიღებიდან. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები, რომელიც შეესაბამება მისი გამოყენების ოპტიმალურ პერიოდს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ოფისის აღჭურვილობა	3-5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7 წელი
იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	10 წელი

2.8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ფრანშიზას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

2.9. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეფასება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება უდიდესი თანხით აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება. ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს

საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შეზღუდვა დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რომლის დროსაც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

2.10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები) ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება ტანსაცმლისგან, სხვადასხვა აქსესუარებისგან და დეკორაციისგან. მარაგების შეძენა ხდება იმპორტის გზით.

2.11. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

2.12. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს, ერთი ევროსათვის შეადგენს 4.0233 (2019 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677 ლარი, ერთი ევრო 3.2095).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ღირებულება 01.01.2019	10,168	63,981	40,569	114,718
დამატებითი შესყიდვები 2019	29,167	183,100	165,480	377,747
რეალიზაცია	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	39,335	247,081	206,049	492,465
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 01.01.2019	666	3,528	2,708	6,902
ცვეთა 2019	4,863	28,163	25,897	58,923
რეალიზ. ძირ. საშ. დაგროვილი ცვეთა 2019	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	5,529	31,691	28,605	65,825
წმინდა საბალანსო ღირებულება				
01 იანვარი 2019	9,502	60,453	37,861	107,816
31 დეკემბერი 2019	33,806	215,390	177,444	426,640
ისტორიული ღირებულება				
ღირებულება 01.01.2020	39,335	247,081	206,049	492,465
დამატებითი შესყიდვები 2020	-	16,422	-	16,422
რეალიზაცია	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	39,335	263,503	206,049	508,887
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 01.01.2020	5,529	31,691	28,605	65,825
ცვეთა 2020	7,096	48,408	30,907	86,411
რეალიზ. ძირ. საშ. დაგროვილი ცვეთა 2020	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	12,625	80,099	59,512	152,236
წმინდა საბალანსო ღირებულება				
01 იანვარი 2020	33,806	215,390	177,444	426,640
31 დეკემბერი 2020	26,710	183,404	146,537	356,651

ყველა ძირითადი საშუალების ცვეთის ხარჯი შედის აღინისტრაციულ ხარჯებში. ქონება უზრუნველყოფილი არ არის.

2020 წლის 4 ივნისს კომპანიის მიერ ძირითად შეძენილ აქტივებს წარმოადგენდა მაღაზიის ინვენტარი, რომელთა ღირებულება შეადგენდა 1,919 ლარს ; (2019 წელს: 212,267 ლარს);

ასევე, 2020 წლის პირველ იანვარს მოხდა 14,502 ლარის მარაგების კლასიფიკაციის შეცვლა და ძირითად საშუალებებზე გადატანა

2019 წელს იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობაში დაიხარჯა 74,799 ლარი ;

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყველა თანხა არის მოკლევადიანი, რომელიც წარმომოხდის არაუგვიანეს 1 დღისა. ყველა მყიდველი შეძენისთანავე იხდის პროდუქციის ღირებულებას. სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი წარმოადგენს წლის ბოლო დღეს რეალიზებული პროდუქციიდან წარმოქმნილ მოთხოვნას, რომელზეც გადახდილი თანხები კომპანიას საბანკო ანგარიშზე აქსახა მომდევნო წლის პირველ რიცხვში.

ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	11,746	15,635
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	16	
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,762	15,635

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული საღაროში	5,621	9,301
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	30,970	38,730
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში	79,066	
სულ ფულადი სახსრები	115,657	48,031

6. სესხები

ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სესხის პროცენტი	69,030	18,436	-	-
სესხის ძირი თანხა	950,374	868,439	104,587	110,474
	1,019,404	886,875	104,587	110,474

	სესხის თანხა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	კრედიტის ვადა (დღე)	წლიური ნომინალური განაკვეთი	წლიური ეფექტური განაკვეთი
სესხი 1	EUR 50,000	11.07.2019	11.07.2022	1,096	5.80%	6.51%
სესხი 2	GEL 150,000	17.02.2020	22.02.2021	371	11.55%	12.76%
სესხი 3	GEL 104,000	13.07.2020	05.07.2023	1,087	11.50%	12.40%

კომპანიისთვის სესხის აღების მიზანს წარმოადგენდა სავაჭრო პროდუქციის შეძენა.

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში ასახულია დაახლოებით 15 (როგორც ადგილობრივი ისე უცხოური) კრედიტორის კრედიტორული დავალიანება (2019 წელი - 10 კრედიტორი). ადგილობრივი კრედიტორული დავალიანების დაფარვა ხდება 15 დღის განმავლობაში.

8. შემოსავალი რეალიზაციიდან

ლარი	წელი 2020	წელი 2019
რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	1,195,926	1,461,096
ვაუჩერის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	1,144	
ონლაინ გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი	71,886	
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	1,268,956	1,461,096

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	წელი 2020	წელი 2019
საიჯარო ქირა	326,168	346,043
ცვეთის ხარჯი	87,954	60,128
შრომის ანაზღაურება	42,810	49,725
საბანკო ხარჯები	21,563	26,130
ბუღალტრული და იურიდიული მომსახურების ხარჯი	7,700	10,250
მივლინების ხარჯები	7,191	13,950
კომუნალური მომსახურება	6,722	5,035
ოფისის ხარჯები	6,646	6,847
საურავი და სხვა საგადასახადო ხარჯი	6,087	3,101
სხვა ხარჯები	4,411	943
კომუნიკაციის მომსახურების ხარჯები	1,914	1,618
დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯები	662	426
კომპიუტერული ხარჯები	80	30
წარმომადგენლობითი ხარჯები	70	2,917
ქონების დაზღვევა	-	729
იურიდიული ხარჯები	-	110
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	519,978	527,982

10. მოგება/(ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან

ლარი	წელი 2020	წელი 2019
ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	(3,484)	(7,961)
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით	(171,714)	(20,751)
	(175,198)	(28,712)